ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 264

11 სექტემბერი
"---" -------- 2018 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, გმირ კურსანტთა ქუჩის I შესახვევი №20-ის მიმდებარედ არსებული 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ N01.11.05.011.374) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, "ქალაქ თბილისში, გმირ კურსანტთა ქუჩის I შესახვევი №20-ის მიმდებარედ არსებული 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ N01.11.05.011.374) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 22 აგვისტოს №18.696.1023 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, გმირ კურსანტთა ქუჩის I შესახვევი №20-ის მიმდებარედ არსებული 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ N01.11.05.011.374) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 ლარად პრივატიზებაზე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „აფხაზეთთან" გასაფორმებელი ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე